პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 90 (5120)

1974 წ. 8 მაისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ავტოგადარბენა გრძელდება

გრძელდება ტურისტული ავტოგადარბენა მარშრუტით: თბილისი — ბაკო — კრასნოვოდსკი — აშხაბადი — მარი — ბაირამ-ალი — ბუხარა — სამარყანდი — ურგენჩი — ხივა და უკან.

გუშინ რედაქციაში მოვიდა ბარათი, რომელსაც ხელს აწერს ავტოგადარბენის ხელმძღვანელი ა. სარიჩევი. იგი გვწერს:

„1 მაისს დილაადრიან კაგანში ვიყავით. მონაწილეობა მივიღეთ საპირველმაისო დემონსტრაციაში. ბუხარაში არ შევჩერებულვართ. საღამოს სამარყანდში ჩავედით. დღეს, 2 მაისს, მოეწყო ექსკურსია ქალაქის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების გასაცნობად. გურ-ემირის არქიტექტურულ კომპლექსთან შეეხვედით თბილისელ ექსკურსანტთა ჯგუფს.

ხვალ ბუხარის გავლით ხივაში წავალთ. ავტოგადარბენა წარმატებით მიმდინარეობს. ყველა მონაწილე თავს საუცხოოდ გრძნობს“.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით

ბელგრადი, 6 მაისი. უკვე რამდენიმე წელია, რაც ადგილობრივი ტელევიზიის თაოსნობით აქ კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები ეწყობა. თავდაპირველად ორგანიზატორების მიზანი იყო მსოფლიოს უძლიერესი გუნდების მონაწილეობით ეგრეთ წოდებული მცირე მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა, მაგრამ მიზანმა არ გაამართლა, ვინაიდან ტურნირის ვადები (იგი უეჭველად მაისში უნდა გაიმართოს) ბევრი ქვეყნისთვის შეუსაბამო გამოდგა. თანდათან გამოაკლდნენ ასპარეზობას ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიისა და სხვა ეროვნული გუნდები.

წლევანდელ ტურნირში, რომელიც გუშინ დაწყებულა, ძალებს ცდიდნენ იუგოსლავიის (ორი გუნდი), სსრ კავშირისა და არგენტინის კალათბურთელები. საბჭოთა სპორტსმენებმა თავდაპირველად იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრები დაამარცხეს — 70:61 (37:33), მერე კი არგენტინელებს მოუგეს — 85:69 (41:36).

თავის მხრივ, ორივე ეს მეტოქე დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონმაც — იუგოსლავიის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ფინალში შეხვდა საბჭოთა გუნდს.

ბრძოლა საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ტაიმის მიწურულს მსოფლიო ჩემპიონები 11 ქულით დაწინაურდნენ — 49:38. შესვენების შემდეგაც ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ, რომლებმაც საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 86:77.

საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ა. ბელოვი — 25 ქულა, სალნიკოვი — 23, ედეშკო — 10.

ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. იუგოსლავია I, 2. სსრ კავშირი, 3. იუგოსლავია II, 4. არგენტინა.

ქმის კვალზე

ბაკოში ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირად-გუნდური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში იუნიორთა შორის. ასპარეზობაში, რომელიც ახალი სისტემით მოეწყო, თავი გამოიჩინეს თბილისის არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლებმა. მათ წილად ხვდათ ერთი I, ერთი II და ორი III ადგილი.

პირველ საშუალო წონითს კატეგორიაში ყველას აჯობა ა. სანიკიძემ. ამავე წონაში II ადგილი ხვდა მ. ლექავას — ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის თ. ლექავას ძმას. III საპრიზო ადგილები დაასაკუთრეს ა. წვრეთელმა და თ. თავაძემ.

ყველა ზემოთ დასახელებული მოჭიდავე ჩარიცხულია შეიარაღებულ ძალთა ნაკრების კანდიდატთა სიაში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა შარშანდელმა ჩემპიონმა — როსტოვის ოლქის არმიის სპორტულმა კლუბმა. თბილისელი არმიელები III ადგილზე გავიდნენ.

გ. ბარშაძე,
სპორტის ოსტატი.

დედამიწის გარშემო

დედამიწის ირგვლივ აფრიანი ნავით მარტოდმყოფი შეუჩერებელ ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა იაპონელმა კენიჩი ხორიმ. ამ 35 წლის აფროსანმა 1973 წლის 5 აგვისტოს აიღო სტარტი ერთადერთი ნავით „მერმე 3“. მოგზაურობა მან 266 დღესა და 14 საათში დაამთავრა.

ძველი მიღწევა 1971 წლიდან ეკუთვნოდა ინგლისელ ჩეი ბლიტს — 293 დღე და ღამე.



◆ ტოკიო, 7 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა მარცხით დაიწყო ტურნე იაპონიაში — დღეს აქ ანგარიშით 1:3 (15:7, 3:15, 8:15, 11:15) წაგო შეხვედრა მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. საბჭოთა სპორტსმენები იაპონიაში კიდევ ხუთჯერ ითამაშებენ: სამჯერ — პირველ ნაკრებთან, ორჯერ — მეორესთან.

აველანეის გეგმები

რიო-დე-ჟანეირო, 7 მაისი. ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა, 58 წლის ჟოაო აველანემ, რომელმაც თავისი კანდიდატურა წამოაყენა ფიფბურთის საერთაშორისო ფედერაციის მეთაურის პოსტზე, შეიმუშავა ამ ორგანიზაციის შემდგომი სამოქმედო პროგრამა. გაგაცნობთ ამ პროგრამის რამდენიმე პუნქტს:

✦ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა რიცხვი თექვსმეტიდან 1978 წლისთვის გაიზარდოს ოცამდე, ხოლო 1982 წლისთვის — ოცდაოთხამდე (ამასთან, ფინალური თამაშების კალენდარი უცვლელი უნდა დარჩეს; ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკმარისი სტადიონები, რომელთაგანაც თითოეული 50-100 ათას კაცს უნდა იტევდეს);

✦ დაწესდეს ფიფბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება 20 წლამდე ასაკის ჭაბუკებისთვის (პროფესიონალებისა თუ მოყვარულებისთვის). შეჯიბრება ჩატარდეს ოთხ წელიწადში ერთხელ უფროსების მსოფლიო ჩემპიონატებს შორის;

✦ დაწესდეს საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და აზიის თასების მფლობელები. შეჯიბრება ჩატარდეს ფიფა-ს ეგიდის ქვეშ;

✦ მატერიალური დახმარება გაეწიოთ განვითარებადი სახელმწიფოების ეროვნულ ფედერაციებს.

როგორც ცნობილია, ფიფა-ს პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს ივნისში ამ ფედერაციის კონგრესზე.

ფიფა-ს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, 79 წლის სტენლი როუზმა (ინგლისი), რომელმაც საერტული საზოგადოებრიობის თვალში თავი შეირცხვინა მატჩების ირგვლივ გაჩაღებული ათასგვარი მაქინაციებითა და ჩილის ფაშისტური ხუნტისთვის ხელის შეწყობით, განაცხადა, რომ განზრახული აქვს თავისი პოსტის შენარჩუნებისთვის იბრძოლოს. მეტოქის პროგრამის თაობაზე გაკეთებულ განცხადებაში მან საწინააღმდეგოდ არსებითი ვერაფერი თქვა და მხოლოდ უმნიშვნელო დეტალების განხილვას დასჯერდა. ძალიან ბუნდოვანია როუზის შემდეგი სიტყვები: „მე უნდა დავამთავრო წინმშვნელოვანი გეგმების განხორციელება, რომლებსაც ვამუშავებ ფიფბურთის განვითარების ინტერესებისთვის“. იგი ცამეტ წელიწადს ხელმძღვანელობდა ფიფა-ს და ამ ხნის განმავლობაში შეეძლო (შეეძლო კი არა, ვალდებულიც იყო) არა მარტო დაემუშავებინა ბევრი ღონისძიება, არამედ ცხოვრებაშიც გაეტარებინა.

ფიფა-ს უბედურება როუზის ზოგიერთ განუხორციელებელ გეგმაში როდია. საქმე ისაა, რომ ჩანაფიქრის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაცია ნორმალურად ვერ იმუშავებს, თუ სულ რამდენიმე ადამიანის ნება-სურვილის აღმსრულებლად იქცევა. ფიფბურთის საერთაშორისო ფედერაციას კი სწორედ ასე მოუვიდა. აველანჟმა ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფიფა-ში წესები უნდა შეიცვალოს, რომ საჭიროა მისი ეროვნულობა და ამ ორგანიზაციაში ინგლისის წარმომადგენელთა ბატონობის მოსპობა.

შეუძლებელია ყოველივე ამას არ დაეთანხმო. (საკდესი).

ერთ-ხმად აირჩიეს

ედინბურგი, 2 მაისი. (საკდესი). „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი კვლავ აირჩიეს ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციის (ეაბა) პრეზიდენტად. ეაბა-ს აქ გამართული კონგრესის მონაწილე ოცივე ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებმა ერთხმად დაასახელეს მისი კანდიდატურა.

ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს გ. გურიევი (რუმინეთი), დ. ჰენდერსონი (შოტლანდია) და ე. ჟეჩევი (ბულგარეთი). ადმინისტრაციულ მდივნად არჩეულია ბ. გრომოვი (სსრ კავშირი).

ბურჟუაზიული სპორტის სამყაროში

ოლიმპიური პრიზიორი წინათ და ახლა

ჩიკაგოს „სტეიდიუმის“ ვეებერთელა დარაბაზი კინალამ დაინგრა 15000 ექსპანსიური მაყურებლის ღრიალისგან. სიგარეტის კვამლის ღრუბლებში იუპიტერთა სხივები ძლივს აღწევდა რინგამდე, სადაც ერთმანეთს ებრძოდნენ არა მოკრივეები, არამედ კეტჩისტები.

ბაგირებთან თავდაჭრილი იდგა მოჭიდავის ფორმაში გამოწყობილი მაღალი, ჩასხმული კაცი. სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. მე ვიცანი აშშ-ს თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი კრის ტეილორი, სწორედ ის გულკეთილი კოლიათი კრისი, რომელსაც კარგად იცხობენ საბჭოთა მოჭიდავეები, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა თავისი ქვეყნის ნაკრების სახელით მსოფლიო ჩემპიონატებში, გამოდიოდა მიუნჰენის ოლიმპიურ ტურნირში, სადაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მაშინ ტეილორისთვის იოლი არ იყო ბრძოლა. სპორტის მოყვარულებს ახსოვთ, რომ ეს 200-კილოგრამიანი გოლიათი აგებდა საბჭოთა სპორტსმენთან ალექსანდრე მედვედთან, მერე კი მის ახალგაზრდა მემკვიდრესთან სოსლან ანდიევთან. მეხსიერებამ შემოინახა ვილფრედ დიტრიხის ეფექტური გდებაც, როცა ამ დასავლეთგერმანელმა ათლეტმა, მიუხედავად ტეილორის გოლიათური აღნაგობისა, ბეჭებზე დასცა მეტოქე. ასეთია სპორტი — ორი მეტოქიდან ერთ-ერთმა აუცილებლად უნდა წაგოს.

მაგრამ ის, რაც „სტეიდიუმში“ ხდებოდა, უკვე სპორტი აღარ იყო. გაფთრებული მეტოქე ტეილორს სახეში ჩაფრრიხდა. კრისს ცხვირიდან სისხლი წასკდა. დარბაზიდან ისმოდა ხმები: „მიდი, მიდი, ეგრე მოუხდება, გამოაფხიზლე ეგ საფრთხობელა!“

„სტეიდიუმის“ რინგზე ტარდებოდა ამერიკის სპორტული დარბაზებისთვის ჩვეულებრივ ამბად ქცეული კეტჩის ან, როგორც აქ მას დიდი ამბით უწოდებენ, „პროფესიული ჭიდაობის“ საღამო. მაგრამ ამ სანახაობას სპორტული ჭიდაობისა არაფერი ეტყობოდა. მეტოქეები თმებით ათრევდნენ ერთმანეთს, ცხვირში და ყურებში ექაჩებოდნენ, ხელ-ფეხს უგრეხდეხ... როცა ერთი დაგარდებოდა, მეორე უსათუოდ თავზე უნდა დახტომოდა.

ამ „ჭიდაობაში“ შეზღუდული არაფერია. შეხვედრა ტარდება სცენარის მიხედვით. ჯერ ერთი მეტოქე აკეთებს ყველაფერს, რაც ეოესურვება, მეორე კი ხელს უშლის. მერე, როცა ეს მეორე უკვე ბანადგურებული გგონიათ, იგი უცებ „მკვდრეთით აღდგება“ და ახლა თვითონ „უსწორდება“ მოწინააღმდეგეს.

ადამიანი ინსტინქტებისთვის გათვალისწინებულ ამ სახახაობას უამრავი მაყურებელი ჰყავს. ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენისა“ და ჩიკაგოს „სტეიდიუმის“ მასშტაბის დარბაზები მუდამ ხალხითაა გაჭედილი. ხოლო, ვინაიდან შემოსავალს იძლევა, ეს სანახაობა „ნამდვილ“ საქმედაც ითვლება ამერიკაში. და აი, კრის ტეილორი და სხვები შონაწილეობას ღებულობენ შეუფერებელ მასკარადებში, რათა თვითონაც ხელი მოითბონ და თავიანთს პატრონებსაც შემოსავალი მისცენ.

მიუნჰენში ოლიმპიური მედლის მოპოვების შემდეგ კრის ტეილორმა დატოვა სამყოვარულო სპორტი. „რა ვქნა, მომავალზე უნდა ვიფიქრო. მედლების იმედად, თუნდაც ოლიმპიური იყოს, აქ კაცი ვერ იცხოვრებს“, — თქვა მან კომპანია „ეი-ბი-სის“ სატელევიზიო ინტერვიუში. ტეილორი ერთ-ერთ „კეტჩის კლუბში“ მოეწყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა ბევრია ასეთი კლუბი.

მაგრამ ტეილორი მარტო არ არის. საარსებო წყაროს ძებნაში სხვებიც გახდნენ იძულებული, რომ საყვარელი სპორტი კეტჩზე, მართალია, არაკეთილშობილ, მაგრამ „ფულიან“ საქმეზე გაეცვალათ. მაგალითად, ტეილორის კლუბშია წარსულში ცნობილი ძალოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი მძიმე წონაში კენ პატერა.

„კეტჩის“ კლუბებში ღებულობენ უცხოელებსაც, უმთავრესად ლათინური ამერიკიდან. ეს დარბაზებისკენ იზიდავს ამ კონტინენტიდან, გახსაკუთრებით კი პუერტო-რიკოდან ჩამოსულ ემიგრანტებს. ამასთან, როცა მონაწილეთა შორის თუნდაც რამდენიმე უცხოელია, ორგანიზატორებს უფლება ეძლევათ მასკარადს „პროფესიონალ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი“ უწოდონ, რაც მაყურებელთა რიცხვს ზრდის.

ზეთხსეხებულ „ტურნირში“ ტეილორს ხვდებოდა „ალჟირისა და ჩრდილოეთ აფრიკის ჩემპიონი“, მეტსახელად „ცოფიანი ძაღლი“. ამ უკანასკნელს უნდა გაეშმაგებინა გულკეთილი ტეილორი, რათა თავის მხრივ ისიც „გაცოფებულიყო“. არ ვიცით, სტუმარს მეტისმეტი მოუვიდა, თუ რა მოხდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დარბაზიდან დაუწყეს ყვირილი, გამხეცდი, გამხეცდიო, ტეილორი მართლაც სულ გაგიჟდა. იგი მთელ რინგზე ბურთივით ათამაშებდა აფრიკელ „ჩემპიონს“, რომელიც წონით მეტოქეზე ორჯერ მსუბუქი იყო. გამარჯვება კი... სტუმარს მიაკუთვეს. ტეილორმა პროტესტი გამოაცხადა, მაგრამ რინგზე სასწრაფოდ ავიდა „მოჭიდავეთა“ შემდეგი წყვილი. მათ „გამარჯვებულთან“ ერთად რინგიდან გადმოაგდეს ტეილორი. ბრბო კვლავ აღრიალდა აღფრთოვანებისგან.

— კრის, როგორ იტან ყველაფერ ამას? — ჰკითხა სპორტულმა კომენტატორმა ჯიმ მაკკეიმ ტეილორს, რომელსაც ექიმი დასტრიალებდა თავს.

— მე ვალდებული ვარ მომავალზე ვიფიქრო, — მიუგო ტეილორმა, — კეტჩი კი ერთადერთი გზაა, რითაც შემიძლია ფული ვიშოვო. კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც ძნელი საქმე არაა. უბრალოდ, მაყურებელს უნდა ვუჩვენო ის, რაც მას სურს. ჯერ ჯერობით არ მინდა ამ საქმეს თავი დავანებო. იქნებ ერთ რვა-ათ წელიწადს გავუძლო.

— რომელი დღე მიგაჩნია ყველაზე მედნიერად შენს ცხოვრებაში, კრის? — ჰკითხა კომენტატორმა.

— ის დღე, როცა ჩვენი ეროვნული დროშით ხელში მივაბიჯებდი მიუნჰენის სტადიონის ბილიკზე ოლიმპიადის გახსნის დროს. და კიდევ ის დღეები, როცა ჩემი ქვეყნის სახელით გამოვდიოდი ნამდვილ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მგონია, თითქოს ეს ყველაფერი სიზმარი იყო. ეს მე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, — დაუფარავი სევდით უთხრა კრისმა კომენტატორს და სწრაფად დაემშვიდობა, ბოდიში მოუხადა, შემდეგი „ბრძოლისთვის“ ვემზადებიო.

ვინ იცის, იქნებ უნდოდა უნებლიე ცრემლი დაეფარა?

ვ. ბაიდაზინი.
(საკდესის კორ.).

ნიუ იორკი.

ბადრაკისა და შაშის მოყვარულთა საყურადღებოდ!

9 მაისს თბილისში, ჭადრაკის სახახლეში (ლენინის ქ. № 37) გაიმართება ტრადიციული საჭადრაკო-საშაშო ზეიმი, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 29-ე წლისთავს ეძღვნება.

სახახლის დარბაზებსა და დერეფნებში მოეწყობა ერთდროული თამაშის სეანსები ჭადრაკში 500 და შაშში 200 დაფაზე.

სეანსებს ჩაატარებენ ცნობილი თბილისელი ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. მათ შორის იქნებიან საქართველოს ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო პირველობების მონაწილენიც. კარგი იქნება, თუ სეანსში მონაწილეობის მსურველები სათამაშოდ თავიანთი ჭადრაკის კომპლექტებით მივლენ.

გაიმართება, აგრეთვე, კონკურსი ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში. მოეწყობა საუბრები საჭადრაკო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

დასაწყისი 12 ს.

ლიდერობენ უბილავა და კობაიძე

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ზ. ბურჭულაძე 0,5:0,5, რ. ჯინჯიხაშვილი — გ. ზაიჩიკი 1:0, ე. უბილავა — ა. ბუსლაევი 1:0, ე. გუფელდი — გ. კალატოზიშვილი 0,5:0,5, ზ. მიქაძე — თ. ლომაია 0:1, ზაიჩიკი — მ. ჭიპაშვილი 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი—კალატოზიშვილი 1:0, ლომაია — ა. ბოკუჩავა 0,5:0,5, ე. მიქაელიანი (ყველა — თბილისი) — ჯ. ბერაძე (წყალტუბო) 0:1, ნეურონოვი — ჯინჯიხაშვილი 1:0, ნეურონოვი—მიქაელიანი 0,5:0,5, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ბურჭულაძე 0:1. დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ ზაიჩიკ — ტუზოვსკის შეხვედრა.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: უბილავა — 6,5 ქულა, გუფელდი — 6, ჯინჯიხაშვილი — 5,5, მიქაძე — 5, ბოკუჩავა — 4,5, ნეურონოვი, ჭიპაშვილი, ბუსლაევი, ბერაძე, ზ. აზმაიფარაშვილი — 4-4.

შეწყვეტილ პოზიციაში ბუსლაევთან უბილავას უპირატესობა ჰქონდა. ბუსლაევი მხოლოდ 53-ე სვლაზე შეურიგდა წაგებას. გუფელდისა და კალატოზიშვილის შეხვედრაში 74 სვლა გაკეთდა, მაგრამ პარტია მაინც ყაიმით დამთავრდა.

შეჯიბრების მეორე ნახევრის მიჯნაზე მხოლოდ უბილავა და გუფელდი არიან დაუმარცხებელი. მართალია, უბილავა მწვავე ტაქტიკური სტილით არ თამაშობს, მაგრამ მის პოზიციურ ბრძოლას მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვა და შეუპოვრობა ახასიათებს. მაშინაც კი, როცა უარესი მდგომარეობა აქვს, იგი მსნედ და იმედიანად იბრძვის.

გუფელდი ემოციური მოჭადრაკეა. მას უყვარს იერიში შეწირვებით. მაგრამ ასე თამაში ყველასთან როდი შეიძლება. ამიტომ ზოგიერთ პარტიაში დიდოსტატმა საეჭვო პოზიცია მიიღო, მაგრამ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას თავისი გაჰქონდა.

როგორც ჩანს, ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა ძირითადად უბილავას, გუფელდსა და ჯინჯიხაშვილს შორის გაჩაღდება.

* * *

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ქ. გაჩეჩილაძე — მ. კალანდაძე 0,5:0,5, ც. კახაბრიშვილი — ქ. გეგიძე 1:0, კალანდაძე — თ. ხუგაშვილი 0:1, ა. ჩაიკოვსკაია — ც. კობაიძე 0,5:0,5, გეგიძე — მ. წერეთელი 0,5:0,5, ლ. თანდაშვილი — კახაბრიშვილი 0:1, ნ. მანველოვა — ჩაიკოვსკაია 0:1, ნ. იოსელიანი — კალანდაძე 1:0, კახაბრიშვილი — ნ. გურიელი 1:0, ხუგაშვილი — ვ. კუპრაშვილი 1:0, ე. ბაშინურიძე — მანველოვა 1:0, იოსელიანი — ვაჩეიშვილი (ყველა — თბილისი) 1:0, ნ. ხუბულური (ონი) — თანდაშვილი 0:1, ბაშინურიძე — ნ. ჯანკლავა (ცხაკაია) 1:0, გაჩეჩილაძე — ხუბულური 1:0, ე. აბრესოვა (გორი) — კობაიძე 0:1.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: კობაიძე — 7 ქულა, იოსელიანი, ხუგაშვილი, ჩაიკოვსკაია—6,5-6,5, გაჩეჩილაძე, კახაბრიშვილი — 6-6, წერეთელი — 5,5, გურიელი, ბაშინურიძე — 5-5.

დიდი აღმავლობით თამაშობს კობაიძე: მის აქტივშია 6 მოგება და 2 ყაიმი. დაუმარცხებლად იბრძვიან, აგრეთვე, ჩაიკოვსკაია, ხუგაშვილი და საქართველოს გოგონათა ჩემპიონი წერეთელი.

12 წლის იოსელიანმა ერთი პარტია წააგო, მაგრამ 6 შეხვედრა მოიგო. ეს შესანიშნავი შედეგია პირველობის ყველაზე უმცროსი მონაწილისა და დებიუტანტისთვის.

საგრძნობლად გამოასწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა საქართველოს ჩემპიონმა კახაბრიშვილმა, რომელმაც სამი პარტია მოიგო.

თ. ნინოშვილი.

* * *

სურათზე: ნ. იოსელიანი (მარცხნივ) ეთამაშება მ. ვაჩეიშვილს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ფეხბურთი — სსრ კავშირის პირველობა

ქუთაისელთა დევიზია შეტევა



ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 6 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (0:1).

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა (ფიფია), აბზიანიძე, ქუთათელაძე, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი (ფარულავა), ქვირია, ჩახუნაშვილი (გაბიჩვაძე), ფესტვენიძე, ხერხაძე, შელია.

„დინამო“: ხრუსტალიოვი, ბელოუსი, შევცოვი, სლოვაკი, ვორონინი, პროკოპენკო, ეშტრეკოვი (სიტკი), ტიმოფეევი, ბოგოვიკი, კურნევი, გრიგორიევი.

მსაჯი ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:3.



ჯერ ორიოდე სიტყვა იმ სატურნირო მდგომარეობაზე, რომელიც წინ უძღოდა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩს. ქუთაისელებმა კარგად აღებული სტარტის შემდეგ, როცა ისინი ცხრილის სათავეში იყვნენ, ბოლო სამ ტურში 6 შესაძლებლიდან 5 ქულა დაკარგეს და V ადგილამდე ჩამოინაცვლეს, თანაც, თავიანთს მინდორზე დათმეს უაღრესად მნიშვნელოვანი თამაში მოსკოვის „ლოკომოტივთან“.

გაურთულდათ საქმე მინსკელებსაც, რომლებმაც შინ და მეტოქის მინდვრებზე ზედიზედ ქულათა მაქსიმუმი აიღეს ოთხ შეხვედრაში, მერე კი ბაქოში დამარცხდნენ და ისიც ვისთან: უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის ბრძოლაში თავიანთს ერთ-ერთ უმთავრეს კონკურენტთან — „ნეფთჩისთან“. მატჩის ეს პრეამბულა თამაშს აძლევდა საგანგებო, პრინციპულ ხასიათს.

როცა სამსაჯო ოთახში შეხვედრის ოქმს ვათვალიერებდით, კიდევ ერთხელ დავწმუნდით, რა ძნელი მატჩი ელოდათ მასპინძლებს. თუ არ ვცდებით, ტორპედოელთა რიგებიდან მხოლოდ ხერხაძეს, ჭოხონელიძესა და ოქროპირაშვილს ჰქონდათ უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება, მინსკელთა გუნდი კი მთლიანად გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის ფეხბურთელებისგან შედგებოდა, რომელთა რიგებს წლეულს შეემატა ორი ცნობილი ოსტატი — ეშტრეკოვი მოსკოვის „დინამოდან“ და პროკოპენკო დონეცკის „შახტიორიდან“.

დაიწყო მატჩი და პირველივე წუთებიდან ცხადი შეიქნა, თუ რა ძალაა მინსკის „დინამო“. მინდვრის შუაგულში ბრძოლა მინსკელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. წინა ხაზზე მათ ჰყავდათ ეშტრეკოვი, ტიმოფეევი და გრიგორიევი, შუაში კი მოქმედებდა ნახევარმცველების მთელი რაზმი, სადაც „პირველი ვიოლინოს“ როლს ერთბაშად ორი მოთამაშე ასრულებდა — პროკოპენკო და ბოგოვიკი. მათ სისტემატურად უმაგრებდა ზურგს თავისუფალი სტოპერი სლოვაკი. დინამოელები თამაშობდნენ გაშლილი ფრონტით, ზუსტად გაანგარიშებული, დამუშავებული კომბინაციებით, ადგილების ხშირი ცვლით.

პირველი 45 წუთი ტორპედოელებმა პირწმინდად წააგეს. საქმე მხოლოდ ანგარიშში არაა. მცველები, განსაკუთრებით სტოპერები, მხედველობიდან კარგავდნენ შეტევაზე მყოფ "მინსკელებს, აგებდნენ ბრძოლას უკლებლივ ყველა მაღალი ბურთისთვის, აგვიანებდნენ ურთიერთდაზღვევას. შუა მინდორში, სადაც წამყვანი მოთამაშის ფუნქციები ოქროპირაშვილს უნდა აეღო თავის თავზე, „ტორპედოს“ არაფერი არ გამოსდიოდა. ნახევარდაცვის ხაზი დაცვასაც მოწყვეტილი იყო და ვერც თავდასხმას უწევდა ხელირინან პარტნიორობას. მხოლოდ ხერხაძე და "შელია თამაშობდნენ თამამად, აქტიურად და, რაც მთავარია, სწორად.

სიტყვა „მხოლოდ“ ჩვენ აქ ვიხმარეთ თავდამსხმელოა მიმართ, მაგრამ პირველი აღნიშვნის ღირსია ის, ვინც არაერთხელ გამოიწვია ტაში ტრიბუნებზე. ეს უდავოდ მეკარე გაბელია გახლდათ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ აღმოჩნდა ახალგაზრდა მეკარე უმძიმეს სიტუაციაში, როცა კარის გადარჩენა თავგანწირვის გარდა მხოლოდ ნამდვილი მაღალი კლასით შეიძლებოდა. გაბელიამ კი ეს კლასი ცხადად დაადასტურა. მადლობის მეტი მას არაფერი ეთქმის.

დინამოელთა საგრძნობი საერთო უპირატესობა 33-ე წუთზე დაგვირგვინდა გრიგორიევისა და პროკოპენკოს სწრაფი კომბინაციით და ზუსტი დარტყმით — 1:0.

ქუთაისელებმა ტაიმი კანონზომიერად წააგეს, მაგრამ ადვილად შეიმჩნეოდა, რომ საკმარისი იყო ქუთაისელებს გაეზარდათ სისწრაფე, გაეძლიერებინათ ტემპი და სტუმრების აწყობილ მექანიზმს ნახევარდაცვასა და დაცვაში მაშინვე ბზარი დაემჩნეოდა. ესე იგი, საჭირო იყო ტემპი, სისწრაფე, შეტევა. სწორედ ამაზე გაამახვილა მოთამაშეთა ყურადღება გუნდის მწვრთნელმა ა. ნორაკიძემ შესვენებისას და მეორე ტაიმში „ტორპედო“ სულ სხვა განწყობილებით გამოვიდა მინდორზე. მინსკელთა პოზიციური, ზუსტად დაგეგმილი თამაში პირველივე წუთებიდან მოიშალა. ყველაფერი დაექვემდებარა მასპინძელთა უკიდურესად მაღალ ტემპს, შეუჩერებელ იერიშებს, ნამდვილ საბრძოლო სულისკვეთებას. სრული ძალით ათამაშდა ახალგაზრდა ქვირია, რომელმაც შუა ხაზში გადმონაცვლებულ შელიასთან ერთად შეტევის მძლავრი დუეტი შექმნა, ენერგიულად ჩაებნენ ბრძოლაში ფესტვენიძე, გაბიჩვაძე, მაგრამ გამარჯვებისთვის საჭირო მთავარი სიტყვა მაინც ხერხაძემ თქვა. მისი „დაჭერა“ შეუძლებელ საქმედ იქცა მინსკელთათვის. „ტორპედოს“ კაპიტანი თამაშობდა, როგორც ჭეშმარიტი ოსტატი, გუნდის ლიდერი, მისი სული და გული.

„ტორპედოს“ შეტევის ძალა დინამოელებმა უკვე 49-ე წუთზე იგრძნეს, როცა ფესტვენიძე მარჯვენა მხრიდან გავიდა გარღვევაზე, ბურთი ცენტრში გადასცა ხერხაძეს და ძალზე ძნელი მდგომარეობიდან, როცა კარისკენ მისასვლელი ყველა გზა თითქოს დაკეტილი იყო, ხერხაძემ ზუსტად, შეუცდომლად დაარტყა — 1:1.

ქუთაისელთა მძლავრი იერიშები თითქმის არ შემწყდარა. სასიამოვნო სანახავი იყო გუნდი, რომელიც თამაშობდა შეთანხმებულად, კოლექტიურად, მეტოქეს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა და, როცა 85-ე წუთზე იმავე ხერხაძემ კვლავ შესანიშნავად გამოიყენა გაბიჩვაძის გადაცემა, გამარჯვება რეალობად იქცა.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა. 2 ქულა ძალიან საჭირო იყო და აიღეს კიდეც. მაგრამ ჩვენ არ გვინდა ყველაფერი ვარდისფრად დავხატოთ, ვთქვათ, თითქოს ამით გადაწყდა რთული პრობლემები. გუნდს აქვს ნაკლოვანებანი, რომლებიც განსაკუთრებით ჩანდა პირველ ტაიმში. წინ თითქმის მთელი გათამაშებაა და ახალგაზრდა ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მომავალშიც უნდა გამოიჩინონ თავიანთი მთავარი თვისებები: სისწრაფე, ტემპი, თავგანწირვა, ენერგია, მძლავრი იერიშები.

ეტყობა, ქუთაისის „ტორპედოს“ სტექია შეტევაა და გუნდმა თავის დევიზად სწორედ ეს უნდა აქციოს. წარმატებას იგი მხოლოდ გაბედული, თამამი, ყველა მოთამაშის თავდაუზოგავი ბრძოლით მიაღწევს.

ბ. ქორქია.

(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: ტორპედოელები უტევენ. მინსკელი მეკარე ვ. ხრუსტალიოვი იგერიებს ბურთს.

თ. ჯავახაძის ფოტო.



ჩემპიონატის ვიცეჩემპიონი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

პირველი ჯგუფი

● **„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. ბურთები გაიტანეს გეგეჭკორმა (2), გაგუაძ და დანელიამ.

უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გაძევებულია ხობელი ნ. გვასალია.

● **„ქართლი“ (გორის რაიონი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).**

ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა გორგილაძემ.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებულია გორელი ა. სტოიანი.

● **„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (გაგრა).**

● **„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 3:0. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).**

● **„კახეთი“ (თელავი) — „განთიადი“ (თბილისი) 2:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

დასაწყისში უპირატესობა განთიადელებს ჰქონდათ, რომლებმაც ვერ შეძლეს რამდენიმე კარგი მოძენტის გამოყენება. მეორე ტაიმში „კახეთმა“ გააძლიერა თამაში და ჩაველაშვილმა და ცირეკიძემ ზედიზედ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე დააღწიეს თბილისელებმა თავი „მშრალი“ ანგარიშით წაგებას (მიქელაძე).

● **„ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

პირველ წარმატებას გორელებმა (ნოზაძე) მიაღწიეს, შემდეგ გოგუაძემ გაქვითა გოლი, 89-ე წუთზე კი ალადაშვილმა გამარჯვება მოუტანა „მეტალურგს“.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).**

სტუდენტებს თავიდანვე ჰქონდათ უპირატესობა, თუმცა ყველა ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს (წიკლაურმა — 2, კოპალეიშვილმა და გუგუბერიძემ).

უსეშობისთვის გაფრთხილებულია ცხინვალელი ბ. გაზაევი.

● **„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა გლინიანოვმა „ივერიამ“ შეძლო თამაშის გათანაბრება, მაგრამ მასპინძლებმა მე-60 წუთზე კარგად გამოიყენეს ერთ-ერთი თავიანთი კონტრშეტევა და კიდევ უფრო დაწინაურდნენ (ბოჭორიშვილი). თამაშის დასასრულს გლინიანოვმა დააგვირგვინა თავისი გუნდის გამარჯვება.

● **„შუქურა“ (ქობულეთი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი ბ. ჯანანაშვილი (თბილისი).**

● **„ვარძია“ (ასპინძა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

● **„დინამო“ (სოხუმი) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).**

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ.	7	4	3	0	12—2	11
„მეტალურგი“ (რუსთავი)	7	4	3	0	9—2	11
„ლოკომოტივი“	7	4	2	1	12—6	10
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	7	4	2	1	11—5	10
ასკ (თბილისი)	7	3	3	1	11—4	9
„მაღაროელი“	7	4	1	2	10—3	9
„სალხინო“	7	2	5	0	7—2	9
„ამირანი“	7	4	1	2	7—4	9
„კახეთი“	7	4	1	2	12—10	9
„დინამო“	7	1	4	2	8—5	6
„შუქურა“	7	2	2	3	5—5	6
„ეგრისი“	7	2	2	3	5—7	6
„კოლხეთი“	7	1	4	2	5—8	6
„განთიადი“	7	1	3	3	5—8	5
„ქართლი“	7	2	1	4	10—14	5
„ვარძია“	7	2	1	4	8—16	5
„მეშახტე“	7	1	2	4	6—11	4
„სპარტაკი“	7	1	2	4	7—15	4
„სულორი“	7	1	2	4	4—14	4
„ივერია“	7	1	0	6	4—17	2



6 მაისს შედგა მორიგი კალენდარული შეხვედრები: „ლორი“ (კიროვაკანი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 2:2 (პენალტებით), „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „ჟალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 2:0, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:2 (პენალტებით), „დინამო“ (ვოლოგდა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:2 (პენალტებით), „ისკრა“ (სმოლენსკი) — „დილა“ (გორი) 3:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:0.

ოლიმპიური ნაკრები

ვ. ივანოვი

მაყურებლის დიდი ნაწილისა და ჟურნალისტების დამოკიდებულება ჩვენდამი საკმაოდ პირველად მტრული იყო. მტრული ეს თუ არა, ცივი და დაძაბული მაინც. დასავლეთის პრესამ თავის პატიოსან და ობიექტურ ინფორმაციას მოკლებულ, საქმეში ჩაუხედავ მკითხველებს ჩვენი ქვეყნისა და მისი საგარეო პოლიტიკის შესახებ სიცრუისა და ცილისწამების ნიაღვარი დაატეხა თავს. ამათ კი, ვინც ამ სიცრუისთვის ფულს იხდიდა, სულაც არ უნდოდათ, რომ ეცხოვრა ჩვენთან რაიმე ურთიერთობა ექონოდა. ისინი ცდილობდნენ საბჭოთა ფელეგაცია ყველასგან მოშორებული, ალეგიობრივი მცსოვრებლებისგან იზოლირებული ყოლოდათ. რა არ კეთდებოდა ამისთვის!

ერთ დღეს, როცა ჩვენი ტანმოვარჯიშე ქალები უნდა გამოსულიყვნენ, ბარბაზი ცარიელი აღმოჩნდა. არც ერთ ავსტრალიელს არ უნახავს ჩვენი ოლიმპიელების მშვენიერი გამოსვლები, არ მოუსმენია ჩვენი ჰიმნი, არ უნახავს ფლაგშტოკზე მრავალჯერ აღმართული სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა. ეს ბაშინ, როცა ყველა ოლიმპიური სარბიელი ხალხით იყო სავსე. ბაშ, ტანვარჯიშის დარბაზი რატომ იყო ცარიელი? ეს მალე გავიგეთ. თუმცა ყველა ბილეთი ვიღაც მილიონერს უყიდია, რათა მის თანამემამულეებს ჩვენი სპორტსმენები არ ენახათ მათი ტრიუმფის დროს.

აი, როგორი ატმოსფერო სუფევდა ოლიმპიურ მელბურნში.

ოლიმპიურ სოფელში კი დაგვხვდა შვენიერი სამსართულიანი აგურის სახლები, მყუდრო და გრილი ოთახები, ლამაზი კაფეები და რესტორნები, ვრცელი ინტერნაციონალური კლუბი, სადაც თავისუფალ საათებს ვატარებდით, ვხვდებოდით და ვეცნობოდით ჩვენს მომავალ მეტოქეებს, ვისვენებდით, ვეცეკვავდით, მუსიკას ვუსმენდით.

როგორც კი დავბინავდი, ბუნებრივია, მყისვე ლიდას სატელეფონო ზარი დავურეკე, მაგრამ თითქმის მაშინვე დავკარგე მასთან მალე შეხვედრის იმედი. ოლიმპიურ სოფელში ვაჟთა საცხოვრებელს ქალთა ბინებისგან, პატარა-პატარა ტერასებიანი კოტეჯებისგან, ვაზიანი მავთულის ღობე ყოფდა. ღობის გასწვრივ ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ. მამრობითი სქესის პირთათვის ქალთა კოტეჯებში შესვლა სასტიკად აკრძალული იყო და მთელი თამაშების მანძილზე ეს წესი არც ერთხელ არ დარღვეულა.

რასაკვირველია, მე და ლიდა შეხვდით ერთმანეთს — და ვხვდებოდით ყოველდღე, უფრო სწორად, ყოველ საღამოს, ინტერნაციონალურ კლუბში. საღამოობით მთელი დელეგაცია იქ ეიერებებოდით, ზეიმს ვუმართავდით სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ჩემპიონებსა და მედალოსნებს. მერე ლიდას ვაზიანი მავთულის ღობემდე ვაცილებდი. გზაში იგი სვედიანად უყურებდა შოკოლადის, ნაყინისა და სხვა სასუნსავის ჯიხურებს. უყურებდა და თან ფარულად ოხრავდა. ირგვლივ ამდენი ტკბილეული და სხვა ნუგბარი იყო, ტანმოვარჯიშე ქალიშვილები კი ნახევრად შიმშილობდნენ. მათ ყოველდღე, თითქმის დღეში სამჯერ აყენებდნენ სასწორზე, და ვაი იმისი ბრალი, ვისაც თუნდაც რამდენიმე გრამი ეკნებოდა მომატებული — შეიძლებოდა ძირითადი შემადგენლობიდან სათადარიგოში გადაეყვანათ. ეს სუსტი, გამხდარი გოგოები იმდენს და ისე ინტენსიურად ვარჯიშობდნენ, რომ ჩვენ, ფეხბურთელებს, არც კი დაგვეხმარებოდა. ამასთან, უმკაცრესი რაციონი ჰქონდათ დაწესებული, ერთ წვეთ წყალს ვერ დალევდნენ ზედმეტად.

ჩვენ კი ჩვენი ტურნირისთვის — საფეხბურთო ტურნირისთვის ვემზადებოდით. კარგად გვესმოდა, რომ მელბურნში ბრძოლა იოლი არ იქნებოდა. ისიც ვიცოდით, რომ ჩვენგან მხოლოდ ოქროს მედლებს ელოდნენ.

არსებობს ცრურწმენა, თითქოს ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის მოგება არც ისე ძნელია. რაც უნდა იყოს, ოლიმპიადებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისგან განსხვავებით, მოყვარულებთან გვიხდება თამაში და არა პროფესიონალებთან.

ერთი მხრივ, მართლაც ასეა. პელეს, ჩარლტონისა და რივერას გუნდები ოლიმპიურ თამაშებში არ გამოდიან და, თავისთავად გასაგებია, მათი არყოფნა ამოცანას უმსუბუქებს სხვებს.

მაგრამ არც ოლიმპიური ტურნირის მონაწილენი არიან ასე ადვილად ხელწამოსაკრავი. ვცადოთ გავავლოთ თუნდაც ახეთი პარალელი: 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ნაკრები წინასწარ ჯგუფში მექსიკისა და ბელგიის გუნდებთან მოხვდა, მეოთხედფინალში კი ურუგვაის ნაკრებს შეხვდა. გაგახსენებთ, რომ იქ მხოლოდ ბელგიელებს მოვუგეთ, მექსიკელებთან ფრედ ვითამაშეთ, ხოლო ურუგვაელებთან წავაგეთ. მელბურნში ჩვენი მეტოქეები იყვნენ გგგ (გერმანიის გაერთიანებული გუნდი), ინდონეზია, ბულგარეთი და იუგოსლავია. ჩემპიონობის მოსაპოვებლად ყველა უნდა დაგვეპარცხებინა. ახლა შეგადაროთ ჩვენი მელბურნელი და მექსიკელი პარტნიორები. არა მგონია, მეხიკოში უფრო რთული ამოცანა გვქონოდეს გადასაწყვეტი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ გდრ-ის, ბულგარეთის, იუგოსლავიის ფეხბურთელები, იგივე გუნდები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატებში გამოდიოდნენ.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. დღეს ჩვენს ფეხბურთს უმდიდრესი „საერთაშორისო გამოცდილება“ აქვს. უკან დარჩა ოთხი მსოფლიო ჩემპიონატი, ოთხი ევროპის ტურნირი ნაკრები გუნდების დონეზე, ევროპის ჩემპიონთა და თასების მფლობელთა კონტინენტური თასების გათამაშებები. ჩვენს ნაკრებს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩატარებული აქვს მატჩები ბრაზილიელებთან, ინგლისელებთან, იტალიელებთან, ესპანელებთან, გფრ-ის გუნდთან. ჩვენი მოწინააღმდეგენი და მოთამაშეები არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან ბევრი უმოგზაურიათ, ბევრი რამ უნახავთ და ბევრიც უსწავლიათ.

მელბურნში კი რას წარმოადგენდა ჩვენი ფეხბურთი? ჩვენ შეგვეძლო გვეამაყა მოსკოვის დინამოელთა განთქმული ტურნეთი ფეხბურთის საშობლოში, კარგად ნათამაშევი მატჩებით უნგრეთის ნაკრებთან, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ საკვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელები პუშკაში, კოჩიში, ბოჟეკი, გროშიჩი, შეგვეძლო გვეამაყა მსოფლიო ჩემპიონ გფრ-ის გუნდთან გამარჯვებით. მაგრამ, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, უნდა ითქვას, რომ ყველა ეს წარმატება მოპოვებული იყო ამხანაგურ თამაშებში, ხოლო ეს შეჯიბრებები, როგორც გინდათ თქვით, ოფიციალურ, სატურნირო მატჩებს ვერ შეედრება. ტურნირში კი მელბურნის ასპარეზობაძდე ჩვენი გუნდი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა და მაშინაც ხელი მოეცარა. წინა ოლიმპიადის დროს ფინეთში მას იუგოსლავიის ნაკრებთან წაგების შემდეგ უშუალოდ საკრიზო ადგილისთვის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

კაცმა რომ თქვას, ჩვენს გუნდს ამ მხრივ ავსტრალიაში მეტი სიძნელე ჰქონდა გადასალახავი, ვიდრე, მაგალითად, ინგლისსა და მექსიკაში.

ასე იყო თუ ისე, მელბურნში ყველა თამაში ძალიან მძიმე გამოდგა. ვიმარჯვებდით ბრძოლაში, რომლის ბედიც ფინალურ სასტვენამდე გაურკვეველი იყო. საკმარისია ითქვას, რომ სამი თამაში თითო ბურთის უპირატესობით მოვიგეთ, ორ შეხვედრაში დამატებითი დრო დანიშნა, ერთი მატჩისა კი მეორე დღეს გადათამაშება მოგვიხდა. მერე ვისთან? ინდონეზიის გუნდთან, რომელიც სერიოზულ მეტოქედაც კი არავის მიაჩნდა.

იმ მატჩის დროს მე სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და ვიტანჯებოდი. ორივე გუნდი მიხდვრის ერთ ნახევარზე ტრიალებდა, ბურთი თითქმის არ სცილდებოდა ინდონეზიელთა საჯარიმო მოედანს. მათი მეკარე დაუღალავად შრომობდა, გოლი არა და არ ჩანდა. ჩვენს თავდასხმელებს საგოლე მომენტები სულ უფრო იშვიათად ექმნებოდათ. დრო გადიოდა, ისინი ჩქარობდნენ, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, ბურთი ფეხებში ებლანდებოდათ და რიკოშეტით მიფრინავდა მინდვრის საზღვრებს გარეთ.

იმაზე დიდი სატანჯველი რა უნდა იყოს, როცა ყოველივე ამას შორიდან ხედავ და იცი, რომ შენს ამხანაგებს ვერაფრით დაეხმარები. თითოეული მოთამაშის შეცდომებს ამჩნევ და ფიქრობ: „აი, მე რომ გავსულიყავი ახლა, ყველაფერს მოვაგვარებდი“. ფიზიკურადაც და სულიერადაც ბევრად უფრო მეტად იღლები, ვიდრე ყველაზე მძიმე მატჩის დროს. მაგრამ მინდორზე მაინც ვერ გახვალ, თუნდაც რომელიმე მოთამაშე დაშავდეს კიდეც: მაშინ ხომ შეცვლა აკრძალული იყო. და როცა ტრიბუნაზე ზიხარ, მხოლოდ გეჩვენება, რომ ადვილად შეიძლება ყველაფრის შეცვლა. მე თვითონ რამდენჯერ მიმიღია მონაწილეობა ასეთ თამაშებში, სადაც ჩვენს გუნდს თითქოს ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გოლი მაინც ვერ გაგვიქონდა.

საერთოდ ეს ჩვენი ფეხბურთის ძველი სენია — არ ვიცით თამაში ყრუ დაცვის მოყვარულ გუნდებთან. თეორიულად შესანიშნავად ვიცით, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ ასეთ შემთხვევებში, მინდორზე კი, უწინაც და ახლაც, გადავდივართ მოკლე პასებზე, სტიქიურ დაწოლაზე, ქაოსურ თამაშზე, რასაც ჩვენგან ხსნასავით ელის აშკარად სუსტი მეტოქე.

ჰოდა, მეც ვიჯექი ტრიბუნაზე და ჩემს გულში ვწყევლიდი მწვრთნელებს, რომლებმაც დასვენების საშუალება მომცეს უფრო ძნელი შეხვედრის წინ. სრულიად უძლური ვიყავი, რომ რაღაცით მაინც დავხმარებოდი ჩემს ამხანაგებს და ამ გვიანი ავსტრალიური გაზაფხულის ცხელ დღეს ციებიანივით ვცახცახებდი (უკვე გვიან გავიგე ამ მატჩში ჩემი „გადაყენების“ ნამდვილი მიზეზი: ჩვენს მარჯვენა გარემარბს ბორის ტატუშინს უთქვამს, რომ მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო გვერდით, მარჯვენა ინსაიდის ადგილზე, თავისი თანაკლუბელი, სპარტაკელი ანატოლი ისაევი ჰყოლოდა).

ძირითადი დროის ოთხმოცდაათ და დამატებითი ტაიმების ოცდაათ წუთს შედეგი არ მოუცია. მეორე დღეს თამაში განახლდა. ამჯერად იგი ჩვენთვის ბევრად უფრო იღბლიანად წარიმართა — სულ მალე ანატოლი ილინმა ანგარიში გახსნა. ასეთ მატჩებში მთავარია რაც შეიძლება მალე გახსნა ანგარიში. მეტოქე, უნდა არ უნდა, იძულებულია უარი თქვას ყრუ დაცვაზე. საჭიროა ქულის ამოგება და, ესე იგი, კონტრშეტევაც. მატჩი უკვე აღარ ჰგავს „ერთ კარში თამაშს“. ბრძოლა თანაბრდება და ჩვენთვის ასეთ პირობებში უფრო ადვილია შეტევის განხორციელება.

ინდონეზიელთა კარში მეორე გოლი მე გავიტანე, შესამე — იგორ ნეტომ, მეოთხე — სერგეი სალნიკოვმა. ჩვენი იმდღევანდელი მოგება შეიძლება გამარჯვებად ჩაგვთვალა, თუ არ გავიხსენებდით წინა დღის მატჩს, რომელმაც მოთამაშეებს ძალიან ბევრი ძალა წაართვა.

ბულგარელებთან მატჩში ბევრმა ვერ შეძლო დაკარგული ძალის მთლიანად აღდგენა. ეს მატჩი კი ჩვენთვის კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდა, ვიდრე ინდონეზიელებთან შეხვედრა.

ძირითადი დრო კვლავ უშედეგოდ დამთავრდა — 0:0, მაგრამ თამაში ამჯერად სულ სხვაგვარად წარიმართა. რა არის ბულგარული ფეხბურთი, ეს დღეს ყველამ მშვენივრად ვიცით. და ის, „მელბურნული“ ნაკრები, მისი ტიპობრივი წარმომადგენელი იყო. ჩინებული ფიზიკური მომზადება, მტკიცე პერსონალური მეურვეობა დაცვაში, არცთუ ეფექტური, მაგრამ პროდუქტიული თამაში თავდამსხმელებისა, რომლებმაც ძლიერი დარტყმა იციან, — აი, მისი თვისებები.

თამაში იყო შეუპოვარი, მძაფრი, დამქანცველი. ძირითადი დროის ანგარიში 0:0 ბულგარელებს ბევრად უფრო აძლევდათ ხელს, ვიდრე ჩვენ. საქმე ისაა, რომ მეორე ტაიმში ჩვენი ორი მოთამაშე მძიმედ დაშავდა. ტიშჩენკოს ლავიწი ჰქონდა გატეხილი, მე ისევ ის დაწყვლილი მუხლი ვიტკინე და მაშინვე გამისვდა. არათუ სირბილი, ნაბიჯი ფეხზე დადგომაც კი არ შემეძლო. არადა, კიდევ ნახევარ საათს უნდა გამძლო. ამ სიტუაციაში ჩვენთვის ყველაზე ხელსაყრელი ფრე და მეორე დღეს გადათამაშება იყო.

დაიწყო მესამე ტაიმი და ბურთი პირდაპირ ჩვენს კარში შეფრინდა. სსრ კავშირის ნაკრები კატასტროფის პირასაა. როგორ გინდა გოლი გაქვითო, როცა თავდასხმაში კაცი გაკლია? როგორ გინდა საკუთარი კარი გოლისგან დაიცვა, როცა მარჯვენა მცველს ლავიწი აქვს გატეხილი? ტიშჩენკომ ნამდვილი გმირობა გამოიჩინა. მისი მდგომარეობა ჩემსაზე ბევრად რთული იყო. მე ფრთაზე გავედი, გვერდითი ხაზის გასწვრივ კოჭლობით დავდუნძულებდი და ვცდილობდი, როგორმე ჩემზე გადმომეგანა ბულგარეთის დაცვის ყურადღება. ტიშჩენკოს კი განუწყვეტლივ უხდებოდა თავდასხმელებთან ბრძოლა, ბურთის წართმევა, გადაცემების ჩაჭრა, შეტევების ჩაშლა. ძნელი მისახვედრი არ არის, რა ტკივილისა და ნებისყოფის დაძაბვის ფასად აღერხებდა ისე თამაშს, თითქოს სრულიად ჯანმრთელი ყოფილიყოს.

დამატებითი დროის ამ წუთებში მთელმა გუნდმა, არ ვაზვიადებ, გმირობა ჩაიდინა. ბოლო 15 წუთს იგი ისე მძლავრად და სახიფათოდ უტევდა, კაცს ეგონებოდა, რომ მინდორზე ჩვენ ბულგარელებზე მეტნი ვიყავით. როგორც იქნა, სტრელცოვმა გაბათანბრა ანგარიში. ახლა თითქოს დაცვაზე გადასვლაც შეიძლება, მაგრამ თამაში აეწყო, მეტოქე გატეხილია. ჩვენები გრძნობენ ამას და იერიშს აგრძელებენ. ანგარიშის შენარჩუნებაზე, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ვფიქრობთ არა ჩვენ, არამედ ბულგარელები. მათი დაცვა ხან იქ გაიბზარება, ხან აქ, და ბოლოს, ვეღარ გვიძლებს. ტატუშინს გადამწყვეტი გოლი გააქვს. ჩვენ ფინალში გავედით.

მაგრამ ვაი, რომ საბოლოო გამარჯვებისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ! წინ იუგოსლავიის გუნდია, სწორედ ის, რომელთან შეხვედრაც ჩვენთვის საბედისწერო გამოდგა წინა ოლიმპიურ თამაშებში; ის, რომელმაც იოლად გაიკაფა გზა ფინალისკენ აქ, მელბურნში; ის, რომელმაც ჩემს თვალწინ სულ სიმღერსიმღერით გაანადგურა ინგლისელები, დაამარცხა ისინი ანგარიშით 8:0; სწორედ ის, რომლის შემადგენლობაშიც გამდიოდნენ კოსტიჩი — ევროპის ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, და შაკულარაცი, რომლის ვარსკვლავიც მელბურნში ამობრწყინდა (სხვათა შორის, გუშინდელივით მახსოვს, როგორ გაირბენდა ხოლმე შაკულარაცი ინგლისელებთან მატჩის დროს მისი გუნდის მიერ გატანილი ყოველი გოლის შემდეგ ტრიბუნების წინ მისალმების ნიშნად ხელაპყრობილი და მაყურებლებს უღიმოდა).

ჩვენ კი დაქანცული ვიყავით ფინალის გზაზე გადატანილი ტანჯვა-წვალებისგან. ამდენმა გადათამაშებამ და დამატებითმა ტაიმებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ მთლიანად გუნდსაც და მოთამაშეებსაც ფიზიკური და ნერვული ძალების [illegible] ამოწურული გვქონდა.

ალბათ ადვილად გაიგებთ ჩემს მდგომარეობასაც — მდგომარეობას იმ ადამიანისას, რომელიც ყველაზე მძიმე წუთებში იძულებულია მაყურებლის როლს დასჯერდეს და ვერაფრით ეხმარება გუნდს საბოლოო ბრძოლისთვის მზადების დროს. რა შეგვეძლო გვეთქვა მე ან ნიკოლოს ტიშჩენკოს სათამაშოდ მიმავალი ბიჭებისთვის? ის, რომ ვერცხლის მედალი, რომელიც ნაკრებს უკვე ჯიბეში ედო, სიხარულს ვერ მოუტანდა მილიონობით ადამიანს ჩვენს ქვეყანაში? რომ საჭირო იყო ბრძოლა მხოლოდ ოქროს მედლისთვის, რომელსაც ასე ელოდნენ შინ, ელოდნენ ჩვენგან ყველა დანარჩენზე მეტად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯილდო ერთი იქნებოდა და საეროო გუნდურ ჩათვლაში მოგვცემდა მხოლოდ შვიდ ქულას, აღარაფრის მომტან შვიდ ქულას, რადგან მატჩი ოლიმპიადის ბოლო დღეს ტარდებოდა და გამარჯვებული უკვე ცნობილი იყო? ყველაფერი ეს მათ უწმედოდაც იცოდნენ.

აი, მე თვითონ რომ შემძლებოდა მინდორზე გასვლა და ჩვენება იმისა, თუ როგორ უნდა გამარჯვებისთვის ბრძოლა, გასვლა და ან მოგება, ყველასთან ერთად გახარება, ან წაგება და ამით საერთო დანაშაულის გაზიარება, ეს სხვა საქმეა. მაგრამ მე უძლური ვიყავი იმ გადამწყვეტ დღეს. სპორტსმენისთვის კი საკუთარი უძლურების გრძნობაზე საშინელი არაფერია. მე ვიტანჯებოდი, ვიტანჯებოდი და თავი გუნდში ყველაზე უბედურ ადამიანად მიმაჩნდა.

თუმცა, არ ვიყავი მართალი. იმ დღეს ჩვენს ნაკრებში იყო ფეხბურთელი, რომელიც ჩემზე და ტიშჩენკოზე მეტად იტანჯებოდა. მას არაფერი სტკიოდა, ჯან-ღონით აღსავსე, შესანიშნავ ფორმაში იყო, მაგრამ მაინც მაყურებელთა რიცხვში აღმოჩნდა. იმის გარდა, რასაც ჩვენ განვიცდიდით, მას ტანჯავდა საშინელი გულისტკივილი უსამართლობის გამო. სტრელცოვზე ვამბობ. მან მშვენივრად ითამაშა ყველა მატჩში, ფინალში კი მის მაგიერ ნიკიტა სიმონიანი გამოიყვანეს. მწვრთნელებმა სტრელცოვს უთხრეს: — შენ დაღლილი ხარ. აქ ცხელა, შენ კი ბევრ წყალს სვამ და ამ მატჩის დაძაბულობას ვერ გაუძლებ.

გავა ორი საათი, თამაში ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება და ნიკიტა სიმონიანი, ეს საოცარი, არაჩვეულებრივად ელეკტრული და კეთილი, უაღრესად სამართლიანი ადამიანი, კაცი, რომელთან ერთად თამაშიც ბედნიერებად შეიძლება ჩაითვალოს, სტრელცოვს ეტყვის:

— ედიკ, მე ვიცი, ეს ოქროს მედალი ჩემი არ არის. შენია. შენ დაიმსახურე იგი. შენ ყველა მატჩში ითამაშე, მე მხოლოდ ერთხელ გამოვედი მინდორზე. შენ შეგიძლია წაიღო ეს მედალი, მაგრამ მადლობელი ვიქნები, თუ მე მაჩუქებ. შენ ჯერ კიდევ ბევრჯერ ითამაშებ, ჩემთვის კი ეს ოლიმპიადა, კარგად იცი, ბოლოა. გადაწყვიტე, როგორც გინდა. ოღონდ ერთი რამე უნდა გითხრა: თუ ამ ოლიმპიადისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებას არ მოგცემენ, მაშინ მედალი შენია, მე არ ავიღებ.

მაგრამ ეს იყო ორი საათის შემდეგ. მანამდე კი მინდორზე ორი გუნდი გამოვიდა, თამაში დაიწყო და სულ ბოლო წამამდე არ ვიყავით დარწმუნებული, რომ ოქროს მედალს სსრ კავშირის ნაკრები მიიღებდა, ხოლო მის თერთმეტ დუბლიკატს — გამარჯვებული გუნდის მოთამაშეები.

ამ მატჩს ვერც ლამაზს უწოდებ, ვერც ბრწყინვალეს. როგორც ყოველთვის ხდება გადამწყვეტ მატჩებში, ჩვენ უფრო თავს ვიცავდით, ვიდრე ვუტევდით. ჩვენი დაცვა უდიდესი დატვირთვით თამაშობდა. იმის თქმა, რომ იაშინი თამაშობდა კარგად, შესანიშნავად, ბრწყინვალედ, არაფრის თქმას ნიშნავს. ეს იყო მსოფლიო ფეხბურთის მთელი ეპოქის საუკეთესო მეკარის ერთ-ერთი უბრწყინვალესი თამაში.

გუნდი თავისი მეკარის მადლობელი უნდა იყოს მაშინაც, თუ იგი ერთხელ ან ორჯერ უიმედო მდგომარეობიდან იხსნის მას. იაშინმა იმ მატჩში ჩვენი კარი იხსნა ათჯერ, შეიძლება თხუთმეტჯერაც. ჩვენ იაშინის გმირობათა ხათვალავი დაგვეკარგა. ჩვენ წარმოდგენა დავკარგეთ „შკვდარ“ ბურთებზე. ყველა ეს ბურთი, დარტყმული ზედა და ქვედა კუთხეებში, ხუთი და სამი მეტრიდან, დარტყმული მოურიდებლად, ძლიერად, პირდაპირ ან „ხმელ ფოთლად“ ჩასვლული, მან აიდო ან მოიგერია და ამას ისე აკეთებდა, თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერი იყო, თითქოს ეს იყო ჩვეულებრივი და არცთუ რთული საქმე.

(გაგრძელება იქნება)

მეოთხედფინალების შედეგები

შედგა საქართველოს მოზარდ ფეხბურთელთა ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრები. მოგვყავს მათი შედეგები:

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 2:0, 1:2.
მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — **„დინამო“ (ბათუმი)** 0:2, 0:3.
„დინამო“ (სოხუმი) — **განათლ. განყოფილება (თბილისი)** 1:1, — +.
ახალგ. საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — განათლ. განყოფილება (ქუთაისი) 4:0, 2:2.

ნახევარფინალში თამაშობენ: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ბათუმი), განათლების განყოფილება (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). ეს მატჩები შედგება 10 და 14 მაისს.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75, 82, 83.

შურკოვსკი მერჩსის წინაპირველ

სპორტის იმ სახეობებში, სადაც პროფესიონალიზმი ძალიან განვითარებულია, მაგალითად, ფეხბურთში, ჩოგბურთში, კრივში, ველოსპორტში, გულშემატკივრებს მუდამ აინტერესებთ ერთი საკითხი: რამდენად ძლიერნი არიან პროფესიონალები მოყვარულებზე, როგორი იქნება მათი უშუალო შეხვედრების შედეგი. გავიხსენოთ, რა ინტერესით ადევნებდა თვალს მთელი სპორტული სამყარო, და არა მარტო სპორტული, სსრ კავშირის ჭოკეისტთა შეხვედრებს კანადის საუკეთესო პროფესიონალებთან.

ბევრ სახეობაში საერთაშორისო ფედერაციებმა შემოიღეს „ოპენ“ (ინგლისური სიტყვაა, ღიას ნიშნავს) ტურნირები. 1971 წელს თავის კონგრესზე იტალიის ქალაქ ვარეზეში ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა მისცა მოყვარულებს პროფესიონალებთან ასპარეზობის უფლება, ოღონდ დაცული უნდა ყოფილიყო სამი პირობა: მოყვარულთა გუნდის შემადგენლობა უნდა დაედგინა ეროვნულ ფედერაციას; მრბოლელებს უნდა სცმოდათ ქვეყნის ნაკრების მაისურები, ყოველგვარი რეკლამის გარეშე; გუნდს უნდა ხელმოდნენ ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები. მაგრამ ორ წელზე მეტი გავიდა და ველოსიპედისტებს ოპენ-ტურნირი არ ჩაუტარებიათ, თუმცა სსრ კავშირისა და პოლონეთის უძლიერეს მოყვარულებს სურდათ პროფესიონალებთან ერთად გამოსვლა.

1972 და 1973 წლებში პოლონეთის ნაკრები მიწვეული იყო პარიზ — ნიცის მრავალდღიან რბოლაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ სტარტამდე ცოტა ხნით ადრე პროფესიონალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ორგანიზატორებს და ემუქრებოდნენ: თუ მოყვარულებსაც გამოიყვანთ, რბოლას სულ ჩავშლითო. იგივე გამეორდა შარშან სექტემბერში, როცა სსრ კავშირის ნაკრებს „კატალონიის ტურში“ (ესპანეთი) უნდა აეღო სტარტი.

ბევრმა მწვრთნელმა და სპეციალისტმა პროფესიონალთა უარი მათს სისუსტესა და მოყვარულებთან დამარცხების შიშს მიაწერა. ხოლო პროფესიონალებმა ეს უარი სხვაგვარად ახსნეს: ჩვენ ოებერვლიდან ოქტომბრამდე თითქმის დაუსვენებლად გვიწევს მონაწილეობა ძალიან ბევრ შეჯიბრებაში, მოყვარულებს კი დასვენებისთვის, ძალის მოკრებისთვის მეტი დრო აქვთ და შეუძლიათ ცალკეულ შეჯიბრებებში არა მარტო პრიზები წაგვართვან, არამედ მორალურადაც ზიანი მოგვაყენონო. მოყვარულებთან დამარცხებამ, რასაკვირველია, შეიძლება პროფესიონალთა გასამრჯელოზეც იმოქმედოს. იგი გავლენას მოახდენს იმ ფირმების პროდუქციის რეკლამაზეც, რომლებიც ველოსიპედისტთა გუნდებს აფინანსებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი ეხება მხოლოდ საგზატკეცილო რბოლებს. ტრეკზე პროფესიონალები ბევრად უფრო იშვიათად გამოდიან, ძირითადად ზამთარში, ექვსდღიან რბოლებში. ყველა უძლიერესი ტრეკზე მრბოლელი საგზატკეცილო ველოსპორტში გადადის, სადაც პროფესიონალებს გაცილებით მეტს უხდიან. სწორედ ამით აიხსნება, მაგალითად, პროფესიულ სპრინტერთა კლასის დაცემა. თუ წინათ მოყვარულები ძალიან შორს იყვნენ პროფესიული სპორტის ისეთი ოსტატების კლასისგან, როგორიც არიან რ. ჰარისი, ა. მახპეი, ვ. რუსო, ბოლო წლებში უკვე აღიარებულია, რომ მოყვარულთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა დ. მორელონმა ჩამოიტოვა პროფესიონალები. მსოფლიო ჩემპიონატების წინ ჩატარებულ საწვრთნელ მეცადინეობებზე მორელონიც და ო. ფხაკაძეც ბევრად მეტ სისწრაფეს ავითარებდნენ, ვიდრე ორგზის მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის, ბელგიელი ა. ვან ლანკერი—გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მხოლოდ რამდენიმე პროფესიონალი თუ შეძლებდა მსოფლიოს უძლიერეს მოყვარულთა დამარცხებას. რაც შეეხება საგზატკეცილო რბოლას, სადაც დროის მაჩვენებლები ბევრადაა დამოკიდებული ამინდზე, ტაქტიკურ მანევრებზე და სხვა გარემოებებზე, დროის მაჩვენებლების შედარება არ შეიძლება. ამიტომ აქ მხოლოდ თეორიულ მსჯელობას სჯერდებოდნენ. თუმცა, ბევრი სპეციალისტის აზრით, გზატკეცილზე რბოლის პროფესიონალთა კლასი უფრო მაღალია. ზოგი ამტკიცებს: ველოსპორტის ვარსკვლავების ავტორიტეტი ხელოვნურადაა გაბერილი რეკლამის ინტერესებისთვის, სინამდვილეში კი მოყვარულებს თანაბარი ძალით შეუძლიათ მათთან ასპარეზობაო.

ბუნებრივია, რომ ველოსპორტის სამყაროში დიდი ინტერესი გამოიწვია პოლონეთის გუნდის მონაწილეობამ პარიზ — ნიცის რბოლაში, რომელიც წლეულს მარტში ჩატარდა. ხმელთაშუა ზღვის საფრანგეთის სანაპიროზე ამ რბოლისთვის ორი კვირის მანძილზე ემზადებოდნენ შარშანდელი სეზონის უძლიერესი მოყვარულები რ. შურკოვსკი, ს. შოზდა, ს. მატუსიაკი და მათი კოლეგები. პარიზის გარეუბან პონტიერიში სტარტზე 140 მრბოლელმა მოიყარა თავი (14 გუნდი 10-10 კაცის შემადგენლობით). მათ შორის იყო 130 პროფესიონალი და 10 პოლონელი მოყვარული ველოსიპედისტი. პოლონეთის ველოსპორტის ფედერაციის ამოცანა ასეთი იყო: გუნდს საერთო V ადგილი უნდა დაეკავებინა, ხოლო პირად კლასიფიკაციაში შურკოვსკი პირველეულ ათეულში მოხვედრილიყო.

ეგრეთ წოდებულმა „პროლოგმა“ — წყვილთა რბოლამ 7 კმ-ზე ვერაფერი გაარკვია. ეს უფრო სიმბოლური რბოლა იყო, რომელსაც ლიდერის თეთრი მაისურის პირველი მფლობელი უნდა დაესახელებინა. ლიდერი გახდა ე. მერქსი, რომელსაც მეწყვილედ ახალგაზრდა ბელგიელი ველოსიპედისტი ბრიუერი ჰყავდა. პოლონელებიდან საუკეთესო იყვნენ ბრეკზნი და ნოვიცკი, რომლებიც გამარჯვებულს 21 წამით ჩამორჩნენ (XII ადგილი).

პირველი 200-კილომეტრიანი ეტაპი უკვე სერიოზული გამოცდა იყო, მით უმეტეს, რომ ალაგ-ალაგ ოღროჩოღრო გზაც ხვდებოდათ, სადაც ველოსიპედისტებს საერთო ჯამში ორასამდე საბურავი გაუფუჭდათ. მიუხედავად ამისა, ოლეკანში ფინიშთან მივიდა ძალიან დიდი ჯგუფი. ამ ჯგუფს მეთაურობდა მერქსი, რომელმაც ეტაპიც მოიგო. სენსაცია მოახდინა შურკოვსკიმ, რომელმაც II ადგილი დაიკავა. პოლონელებმა გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში და რბოლის ლიდერები გახდნენ, თუმცა ყველა დანარჩენ გუნდსაც ასეთივე დრო ჰქონდა. მაგრამ თვით ამ ფაქტმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სპორტულ საზოგადოებრიობაზე. პრესა და ტელევიზია დიდ ადგილს უთმობდნენ შურკოვსკისა და მის კოლეგებს.

მეორე ეტაპი 200 კმ-ზე მეტი იყო. თანაც, ტრასაზე წვიმდა და ალაგ-ალაგ თოვდა კიდეც. ჯგუფი მრავალ ნაწილად გაიყო. მთავარში პოლონელებიდან მხოლოდ შურკოვსკი დარჩა. იგი მთელი გზა ჩრდილოეთ მისდევდა მერქსს და ფინიშთანაც მის კვალდაკვალ მივიდა, X ადგილზე. ამ ეტაპზე გაიმარჯვა ფრანგმა ბ. ტევნემ.

მესამე ეტაპი შედარებით მოკლე იყო — 164 კმ. ისევ წვიმდა. შურკოვსკი ისევ კვალში მისდევდა მერქსს და მონაწილეობა მიიღო საფინიშო სპრინტში. ბოლო მეტრებზე მას ხელი შეუშალა ბელგიელმა ვ. პლანკერტმა, რომელიც ფრანგი ხ. გიმარის შემდეგ II ადგილზე გავიდა. შურკოვსკი მეხუთე იყო, მერქსი — მეშვიდე. ეტაპი კარგად დაამთავრა შოზდამაც, რომელიც მე-16 აღმოჩნდა.

ფინიშის შემდეგ მერქსმა თქვა: „შურკოვსკი მაოცებს. დღეს ისევ ჩრდილოვით დამდევდა და ბოლო მეტრებზე გამისწრო კიდეც. ვნახოთ ერთი, რას იზამს ბოლო დღეს, აღმართზე“. აქ, სენტ-ეტიენში პრესის წარმომადგენლებმა კინაღამ დაახრჩვეს ის პოლონელი მრბოლელები, რომლებსაც ფრანგულად ორიოდე სიტყვის თქმა მაინც შეეძლოთ, უმარავ შეკითხვას აძლევდნენ შურკოვსკისა და მის ამხანაგებზე, მათს შანსებზე, პოლონურ სპორტზე.

IV ეტაპის სტარტიდან მრბოლელებმა 13-კილომეტრიან აღმართზე მიიტანეს იერიში და ლიდერთა ჯგუფში პოლონელთაგან მხოლოდ შურკოვსკი დარჩა. მართალია, მას გაუჭირდა და ერთ მომენტში კინაღამ მიატოვა დისტანცია, მაგრამ კრიზისმა გაიარა. ეტაპის მეორე ნახევრიდან მოყვარულთა შორის მსოფლიო ჩემპიონი კვლავ მეწინავე ჯგუფში იყო. შეჯიბრების ლიდერი მერქსი გამუდმებით აკონტროლებდა რბოლას და მეტოქეთა ყველა იერიშს იგერიებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი ამხანაგი ბრიუერი დღმართზე დავარდა, მერქსმა აქტიურობას უკლო და საფინიშო სპრინტში მონაწილეობა არ მიუღია. ეტაპზე იგი 25-ე იყო. შურკოვსკიმ ოთხ ბელგიელთან გამართულ მწვავე ბრძოლაში III ადგილი დაიკავა, წინ გაუშვა მხოლოდ ე. ლემანი და ლ. ვან ლინდენი. უნდა აღინიშნოს, რომ შურკოვსკის საპრიზო ადგილები მნიშვნელოვანია თავისთავად, მაგრამ 4 ეტაპის ჯამში პოლონელი სპორტსმენი საერთო XIX ადგილზე იყო — ლიდერს მერქსს სულ 27 წამით ჩამორჩებოდა. მეორე პოლონელი, ახალგაზრდა ველოსიპედისტი კოვალსკი 47-ე ადგილზე აღმოჩნდა (მერქსთან აგებდა დაახლოებით 6 წუთს), შოზდა 51-ე იყო (აგებდა 6 წუთსა და 23 წამს).

პოლონელებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა V ეტაპი: ორანჟი — ბანდალი. მთელი შეჯიბრების მანძილზე იმ დღეს პირველად გამოვიდა თბილი, მზიანი ამინდი. იგრძნობოდა, რომ რბოლა სამხრეთს უახლოვდებოდა. მაგრამ იმ დღეს მონაწილენი ხშირად ეცემოდნენ. უკვე მე-14 კილომეტრზე დაშავდა შოზდა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მართალია, ბოლოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა: შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ჯგუფურ რბოლაში, მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში სალამოს უკვე სასტუმროში დაბრუნდა.

მწვერვალ ესპიგულიესკენ მიმავალ 10-კილომეტრიან აღმართზე ჯგუფი დანაწევრდა. ყველაზე სუსტთა შორის დარჩნენ მატუსიაკი და კაჩმარეკი, მერე — კრშეშოვეცი, ნოვიცკი, მიტნიკი, შემდეგ — კრეჩინსკი. მეწინავე ჯგუფში იყვნენ მხოლოდ შურკოვსკი, კოვალსკი და 30-მდე პროფესიონალი. ტემპი ძალიან მაღალი იყო და პროფესიონალები ყოველმხრივ ცდილობდნენ „ბორბლიდან მოეწყვიტათ“ მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონი. ბოლოს და ბოლოს მიზანს მიაღწიეს კიდეც. შურკოვსკიმ ტემპს ვერ გაუძლო და ფინიშთან 71-ე მივიდა. მან 8,5 წუთი წააგო მერქსთან. მსოფლიო ველოსპორტში ნაკლებად ცნობილი პოლონელი კოვალსკი იმ დღეს მოყვარულთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა, 30-ე იყო და გამარჯვებულთან 3 წუთი წააგო. ხუთი ეტაპის ჯამში კოვალსკი 39-ე ადგილზე გავიდა. იგი მერქსს 8 წუთით და 55 წამით ჩამორჩებოდა. შურკოვსკი მეორმოცე იყო (ლიდერთან 9 წუთსა და 8 წამს აგებდა).

პოლონეთის პრესამ ეს შედეგები ასე შეაფასა: პროფესიონალებს პარიზ — ნიცის რბოლის სტარტამდე უკვე რამდენიმე შეჯიბრება ჰქონდათ ჩატარებული და საუკეთესო ფორმაში იყვნენ, პოლონელებისთვის კი ეს სეზონის პირველი ასპარეზობა იყო. აღმართზე კრიზისის დაძლევის შემდეგ ისინი ცუდად არ მიდიოდნენ. ლიდერებს ვიღარ დაეწევოდნენ, მაგრამ ფინიშთან ჭანცაგაწყვეტილი მაინც არ მისულან. ამან მწვრთნელებს ჩაუნერგა იმედი, რომ ველოსიპედისტები თანდათან დაიბრუნებენ ფორმას და სეზონის ძირითადი შეჯიბრებებისთვის კარგად მოემზადებიან.

მეორე დღეს ტულონთან გამართულ სამთო რბოლაში მერქსმა ლიდერის მაისური ჰოლანდიელ ი. ზუტემელკს გადაულოცა, 34 წამი წააგო მასთან. მაგრამ უკვე რამდენიმე საათის შემდეგ, ტულონ — დრაგინიანის ნახევრეტაპზე, თეთრი მაისური ფრანგმა ა. სანტმ ჩაიცვა. შურკოვსკიმ ეტაპზე VIII ადგილი დაიკავა. მატუსიაკი და ნოვიცკი 30 პროფესიონალთან ერთად გამოეთიშნენ ბრძოლას, სამთო რბოლაში დროის ლიმიტი (გამარჯვებულის დროსთან 10 პროცენტი) არ ეყოთ.

დასკვნითს, მეშვიდე დღეს ორი სტარტი მოეწყო. ეს იყო ჯერ ჯგუფური რბოლა 112 კმ-ზე (აქ შურკოვსკი ფინიშთან მესამე მივიდა ვან ლინდენისა და ლემანის შემდეგ, მერქსი კი მეექვსე იყო), ნაშუადღევს კი მოეწყო ინდივიდუალური სამთო რბოლა 8 კმ-ზე, სადაც საბოლოოდ გადაწყდა შეჯიბრების ბედი. ზუტემელკმა გაუსწრო პორტუგალიელ ი. ავოსტინოს, ფრანგ მარტინესს, მერქსსა და სანტის. პოლონელებიდან საუკეთესონი იყვნენ მიტნიკი (XVI ადგილი), კოვალსკი (XVIII), ბრეკზნი (XIX).

ყველა ეტაპის ჯამში შედეგები ასეთი იყო: 1. ი. ზუტემელკი (ჰოლანდია) — 33:16.55, 2. ა. სანტი (საფრანგეთი) — 33:17.24, 3. ე. მერქსი (ბელგია) — 33:17.56, 4. ბ. ტევნე — 33:18.21, 5. რ. პულიდორი (ორიენ — საფრანგეთი) — 33:18.28 (უნდა აღინიშნოს, რომ პულიდორი, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე პირველი იყო პარიზ — ნიცის რბოლაში, 38 წლისაა). პოლონელებიდან ყველას აჯობა კოვალსკიმ, რომელიც 27-ე ადგილზე გავიდა. შურკოვსკიმ 28-ე ადგილი დაიკავა (33:31.35), ბრეკზნემ — 34-ე (33:37.18), კრეჩინსკიმ — 53-ე, კრშეშოვეცმა — 55-ე, მიტნიკმა — 61-ე. შოზდა, ნოვიცკი, მატუსიაკი და კაჩმარეკი რბოლას გამოეთიშნენ.

ყველაზე აქტიურ მრბოლელთა სიაში შურკოვსკი მესამე იყო ვან ლინდენისა და მერქსის შემდეგ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საფრანგეთის გუნდმა „გან-მერსიემ“ — 99:52.56. პოლონეთის ნაკრები IX ადგილზე გავიდა — 100:34.13. მან ჩამოიტოვა ხუთი პროფესიული გუნდი, მათ შორის იტალიის „ბიანკი“ (მას მეთაურობდნენ ბოლო ორი წლის მსოფლიო ჩემპიონები მ. ბასო და ფ. ჯიმონდი), ესპანეთის გუნდი (ამ გუნდში იყვნენ ველოსპორტის ისეთი დიდოსტატები, როგორიც არიან ფუენტე, ლაზა, ლოპეს კარილი), ბელგიის „იზბერკე-კოლნერი“ (ამ გუნდში გამოდიან ვან ლინდენი, ევერტსი, ვან კატვიკი. გუნდის სპორტული დირექტორია წარსულში ორგზის მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის რ. ვან ლონი).

რა შეიძლება ითქვას პროფესიონალთა შეჯიბრებაში პოლონელთა დებიუტზე? პირველ ყოვლისა ის, რომ პროფესიონალებთან ასპარეზობა არც ისე იოლია და მათი ავტორიტეტი ხელოვნურად შექმნილი არ არის, იგი დაფუძნებულია მართლაც საუცხოო ტექნიკურ, ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე. მეორე, მსოფლიოს უძლიერეს მოყვარულ ველოსიპედისტებს სათანადო მომზადების შემდეგ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ პროფესიონალებს ცალკეულ რბოლებში, მაგრამ მათთან ბრძოლას მთელი სეზონის მანძილზე ვერ შეძლებენ, მით უმეტეს, რომ პროფესიონალები ფაქტიურად წელიწადში 9 თვის მანძილზე შეჯიბრებებში არიან ჩაბმული, მოყვარულებს კი ამის შესაძლებლობა არა აქვთ.

პოლონეთის ცენტრალურმა პრესამ აღნიშნა, რომ ეროვნული გუნდის გამოსვლამ დიდი პროპაგანდა გაუწია პოლონურ სპორტს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. პოლონელმა ველოსიპედისტებმა ბევრი მიწვევა მიიღეს (და სხვათა შორის, საფრანგეთიდან პირდაპირ იტალიაში გაემგზავრნენ ორი კვირით). „ტრიბუნა ლიუდუმ“ აღნიშნა ის ფაქტიც, რომ პოლონეთის გუნდმა 22 დღე გაატარა საფრანგეთში და ხარჯები მთლიანად შეჯიბრების ფრანგმა ორგანიზატორებმა დაფარეს. ეს 22 დღე პოლონელებისთვის საუცხოო რეპეტიცია იყო მომავალი შეჯიბრებების წინ, რომელთა რიცხვში შედის 27-ე მშვიდობის ველორბოლაც (მარშრუტი: ვარშავა — ბერლინი — პრაღა).

ამ სეზონში პოლონელი მრბოლელები მონაწილეობას მიიღებენ „ოლიმპიადის ტურში“, რომელიც პროფესიონალებისთვის ტარდება, და ალბათ სხვა შეჯიბრებებშიც. პოლონეთის ველოსპორტის ფედერაციამ უკვე გამოთქვა აზრი, რომ რბოლებში პროფესიონალებთან ერთად მონაწილეობა პოლონელ ველოსიპედისტებს ძალიან დაეხმარებათ 1976 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ უსი-ს ბოლო კონგრესზე ერთვენი ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა მ. ევერმა აღნიშნა, სოკ-ი ოპენ-ტურნირებში მოყვარულთა გამოსვლას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ხელშემშლელ მიზეზად არ მიიჩნევსო.

მ. ბარამია,
უსი-ს საერთაშორისო კომისარი.

* * *

სურათზე: ე. მერქსი (მარჯვნივ) წარმატებას ულოცავს რ. შურკოვსკის.

კაფ — ფოტოფაქსის ფოტო.

მშვიდობის ველორბოლა სტარტზე

ვარშავის „ათი წლისთავის“ სტადიონზე დღეს სტარტს იღებს წლევანდელი მშვიდობის ველორბოლა. პირველი ეტაპი — მოკლე იქნება — 20 კმ (რიგრიგი სტარტით). შემდეგ ეტაპებზე კი ველოსიპედისტებს დასჭირდებათ არა მარტო დიდი სისწრაფე, არამედ ამტანობაც. სპორტსმენები გზაში იქნებიან 22 მაისამდე. რბოლა, რომლის საერთო სიგრძე 1806 კმ-ს უდრის, პრაღაში დამთავრდება.

სტარტისთვის ბევრი სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ველოსიპედისტები ემზადებიან, მაგრამ მათგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ პოლონეთის, სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდები, რომლებიც ტრადიციულად წარმატებით გამოდიან ამ შეჯიბრებაში.

პოლონეთის ნაკრებს სათავეში უდგას მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ს. შოზდა. მასთან ერთად სარბიელზე გამოვლენ ი. ბრეკზნი, ი. კაჩმარეკი, ი. კოვალსკი, ბ. კრეჩინსკი, ტ. მიტნიკი. სადაა რიბარდ შურკოვსკი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიო ჩემპიონთა გუნდს? წლეულს მან მწვრთნელებს სთხოვა, ამ რბოლის გამოტოვების უფლება მომეცითო. ასეთი თხოვნის მოტივი ის იყო, რომ შურკოვსკი დაღლილია უკვე ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილეობით, თანაც, მსოფლიო ჩემპიონატისთვის გულმოდგინედ მზადება სჭირდება.

საბჭოთა გუნდმა ბოლო საწვრთნელი ვარჯიშები ვარშავის მახლობლად ჩაატარა. სტარტზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ: ნ. გორელოვი (მოსკოვის ოლქი), ვ. ლიხაჩოვი (გორკი), ი. მიხაილოვი და ა. ჩუსოვი (ორივე — კუიბიშევი), ა. ბიკუუსი (ტარტუ) და ი. სკოსირევი (ომსკი). წინა რბოლაში ლიხაჩოვი ექვსჯერ მიიჭრა პირველი ფინიშთან, საერთო ჩათვლაში კი მესამე იყო.

საბჭოთა სპორტსმენებმა მშვიდობის ველორბოლაში სტარტი პირველად ოცი წლის წინათ აიღეს. სხვათა შორის, მარშრუტი მაშინაც ისეთი იყო, როგორც წლეულსაა: ვარშავა — ბერლინი — პრაღა. პირველ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში VI ადგილი დიკავეს, პირველობა კი სსრ კავშირის ნაკრებმა დღემდე ცხრაჯერ მოიპოვა.

სპორტული ოლქიოლბრიში

ИНДЕКС 60448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04577

რედაქტორი მ. კაკაბაძე.